



## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 3

2018 წლის 12 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება, 130 (ას ოცდაათი) ცალი 1100ლტ. ნაგვის ურნა (კონტეინერი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცეს შ.კ.ს „კეთილმოწყობას“, 2018 წლის 31 იანვრამდე.

#### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე:



კარლო ჯამბურია